პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
18
ივლისი
№ 167
(16293)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ხუთწლედი — ვადამდე!

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უნიკალურ თაღოვან კახშალში დღე-ღამეში 1.100-1.150 კუბურ მეტრ ბეტონს ასხამენ.

ახლა ჰიდრომშენებლთა შორის გაჩაღებულია შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად, თვითეული უბანი, თვითეული ბრიგადა იბრძვის უფლებისათვის, რომ უნიკალურ თაღოვან კახშალში ჩაასხას მეშვიდასეულოსანი კუბური მეტრი ბეტონი.

შეჯიბრებულთა შორის წინ არიან № 8 სპეციალიზებული უბანი, რომელსაც ინჟინერი ნუკრი ჩხარტიშვილი მეთაურობს და ბრიგადა თამაზ შარიქაძის ხელმძღვანელობით. ეს კოლექტივები გრაფიკს უსწრებენ. მათ არც სხვა ბრიგადები ჩამორჩებიან.

სურათზე: № 3 სპეციალიზებული უბნის უფროსი ნუკრი ჩხარტიშვილი (მარჯვნივ) და ბრიგადირი თამაზ შარიქაძე.

ი. ჯუღრნელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლანჩხუთელმა მეჩაიეებმა ხუთწლედი გაანაღდეს

ლანჩხუთის რაიონში 10 ივლისისათვის მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 64.690 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 61.905 ტონისა

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ლანჩხუთელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა შეასრულებინათ 20 ივლისისათვის. პლანტაციის კარგი მოვლით, ფოთლის ყოველგვარი ამინდში კრეფით დავალება ვადამდე — 10 ივლისისათვის გადაჭარბებით შესრულდა, — განაცხადა „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ღლონტმა.

რაიონის მშრომელებმა ნაცვლად **ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 61.905 ტონისა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 64.690 ტონა ფოთოლი. მოკრეფილი ნედლეულის 74.2 პროცენტი პირველი ხარისხისაა.**

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მამათის (თავმჯდომარე ჰ. შეგალრნაძე), აცანის (თავმჯდომარე გ. ღლონტი), შუხუთის (თავმჯდომარე ა. აფხაძე), შრომისუბნის (თავმჯდომარე დ. მიქაბერიძე), ახალსოფლის (თავმჯდომარე ი. ჩხაიძე), ქვემო აკეთის (თავმჯდომარე ნ. ღლონტი) კოლმეურნეობები, ლანჩხუთის (დირექტორი ვ. ღლონტი), ნიგოეთის (დირექტორი ჰ. გოგეშვილი) და ღრმაღელის (დირექტორი ი. აფხაზავა) საბჭოთა მეურნეობები.

ზემო აკეთის კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ჩხაიძემ, მამათის კოლმეურნეობის მეჩაიემ, ლენინის ორდენოსანმა ა. სამსონიამ, ნიგეზიანის კოლმეურნეობის წევრმა თ. ეფაძიძემ, ჟორუყვეთის კოლმეურნეობის წევრმა მ. გუჯაბიძემ, ზემოჩიბათელმა ე. არველაძემ, გურიანთელმა ნ. სარიშვილმა, ქინჩათელმა რ. სულაძემ ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა წლეულს ფოთლის კრეფის დაწყების პირველ დღეებში გაანაღდეს.

მოკრეფილი ნედლეულის მიღება-გადამუშავების საქმეში კარგად იმუშავეს ლანჩხუთისა და აცანის ფაბრიკებმა.

სკკპ XXV ყრილობას შეეგებდით ახალ-ახალი წარმატებებით, სახელმწიფოს მეათე ხუთწლედის ანგარიშში მივეცეთ 6.400 ტონა მწვანე ოქრო! — ასეთი დეკიზით მუშაობენ ახლა ლანჩხუთელი მშრომელები.

„სოიუზ — აპოლონი“

ფრენა გრძელდება

მოსკოვის ფრენის მართვის ცენტრი, 16 ივლისი. (საკდესი). 20 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-19“-მა 20-ჯერ შემოუარა დედამიწას. მე-17 გარშემოვლაზე განხორციელებული კორექციის შემდეგ, ხომალდი გავიდა სამონტაჟო ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 225,4 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 222,7 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 88,9 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,8 გრადუსი.

ამრიგად, „სოიუზ-19“ ხომალდის ეკიპაჟმა შეასრულა ერთობლივი ფრენის დაგეგმილი პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ოპერაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხომალდ „აპოლონთან“ შეპირაპირების აუცილებელ პირობებს.

მე-19 გარშემოვლაზე ალექსი ლეონოვმა და ვალერი კუბასოვმა განაგრძეს საბორტო სატელევიზიო აპარატურის ფუნქციონირების აღსადგენი სამუშაო. რემონტის უველა ტექნოლოგიური ოპერაცია, რომლებიც „სოიუზ-19“ ხომალდის ეკიპაჟმა ჩაატარა, წინასწარ საგულდაგულოდ დახვეწეს სპეციალისტებმა და კოსმონავტებმა ხომალდის ანალოგზე.

ხატელევიზიო სისტემის რემონტი მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ფრენის მართვის ცენტრის სპეციალისტთა რეკომენდაციებით და წარმატებით შესრულდა კოსმოსური ფრენის რთულ პირობებში. მომდევნო მე-20 გარშემოვლაზე კოსმონავტებმა ალექსი ლეონოვმა და ვალერი კუბასოვმა პირველი სატელევიზიო რეპორტაჟი მოაწყეს „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდიდან. ეს რეპორტაჟი ცენტრალური ტელევიზიით გადაიცა. ფერადი გამოსახულების ხარისხი კარგი იყო.

კოსმონავტები ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი თავს შესანიშნავად გრძნობენ. „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

მოსკოვის ფრენის მართვის ცენტრი, 17 ივლისი. (საკდესი). ალექსი ლეონოვისა და ვალერი კუბასოვის მესამე სამუშაო დღე დაიწყო დღეს 10 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით. ძილისა და დილის ტუალეტის შემდეგ კოსმონავტებმა გააკონტროლეს საბორტო სისტემები, ისაუზმეს და შეუდგნენ ფრენის მესამე დღის პროგრამის შესრულებას.

მოსკოვის დროით 12 საათისათვის „სოიუზ-19“ ხომალდმა ოცდამეთექვსმეტე შემოუარა დედამიწას, აქედან 13-ჯერ — სამონტაჟო ორბიტას. სატრაექტორიო გაზომვათა შედეგებმა დაადასტურეს ბალისტიკურ გაანგარიშებათა და მის მიხედვით გავლებული ორბიტის კორექციის დიდი სიზუსტე. ამერიკის მხარესთან წინასწარ შეთანხმებული მნიშვნელობისაგან სამონტაჟო ორბიტის მაქსიმალურმა გადახრამ შეადგინა 250 მეტრი (1500 მეტრი დასაშვები სიდიდის დროს), ხოლო გაანგარიშებულიდან ორბიტის გათვალისწინებულ წერტილში ხომალდის მისვლის დროის გადახრამ — 7,5 წამი (დასაშვები 90 წამის დროს).

მოსკოვის დროით 11 საათისათვის მანძილი ხაბჭოთა კოსმოსურ ხომალდს „სოიუზ-19“-ხა და ამერიკის ხომალდ „აპოლონს“ შორის შეადგენდა 1.405 კილომეტრს. კოსმოსური ხომალდები „სოიუზი“ და „აპოლონი“ **უნდა შეპირაპირდნენ დღეს 19 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით.**

ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი თავს კარგად გრძნობენ. ფრენა გრძელდება.

ჰიუსტონი, ფრენის მართვის ცენტრი, 17 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). კვლავ დაფრინავს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონი“, რომელშიც ასტრონავტები თ. სტაფორდი, ვ. ბრანდი და დ. სლეიტონი არიან. მოეწყო „აპოლონის“ ორბიტის მორიგი კორექციები, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით უნდა უზრუნველყონ მისი შეხვედრა „სოიუზ-19“ კოსმოსურ ხომალდთან.

საკომანდო მოდულის შესაპირაპირებელ მოწყობილობაში გუშინდელი უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ ასტრონავტები საკომანდო მოდულიდან შესაპირაპირებელ მოდულში გადავიდნენ. დადგეს იქ სატელევიზიო კამერები, შეამოწმეს საბორტო სისტემები და მოამზადეს ისინი პასუხსაგები ოპერაციისათვის — „სოიუზ-19“ ხომალდთან შეპირაპირებისათვის, რომელიც დღეს უნდა მოხდეს 19 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით.

როგორც ფრენის მართვის ცენტრში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, ასტრონავტებმა პროკრამის შესაბამისად მოაწყვეს სამეცნიერო ექსპერიმენტების სერია, რომელთა მოცულობა რამდენადმე შეიკვეცა გუშინდელ უწესივრობათა აღმოფხვრის სამუშაოებთან დაკავშირებთან, კოსმონავტები აკვირდებოდნენ და იღებდნენ დედამიწას, კერძოდ, გადაიღეს წყნარი ოკეანის სამხრეთი რაიონი, ახალი ზელანდია და შეერთებული შტატების დასავლეთი სანაპირო.

ვიზიო აპარატურის ფუნქციონირების აღსადგენი სამუშაო. რემონტის უველა ტექნოლოგიური ოპერაცია, რომლებიც „სოიუზ-19“ ხომალდის ეკიპაჟმა ჩაატარა, წინასწარ საგულდაგულოდ დახვეწეს სპეციალისტებმა და კოსმონავტებმა ხომალდის ანალოგზე.

ხატელევიზიო სისტემის რემონტი მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ფრენის მართვის ცენტრის სპეციალისტთა რეკომენდაციებით და წარმატებით შესრულდა კოსმოსური ფრენის რთულ პირობებში. მომდევნო მე-20 გარშემოვლაზე კოსმონავტებმა ალექსი ლეონოვმა და ვალერი კუბასოვმა პირველი სატელევიზიო რეპორტაჟი მოაწყეს „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდიდან. ეს რეპორტაჟი ცენტრალური ტელევიზიით გადაიცა. ფერადი გამოსახულების ხარისხი კარგი იყო.

კოსმონავტები ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი თავს შესანიშნავად გრძნობენ. „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

მოსკოვის ფრენის მართვის ცენტრი, 17 ივლისი. (საკდესი). ალექსი ლეონოვისა და ვალერი კუბასოვის მესამე სამუშაო დღე დაიწყო დღეს 10 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით. ძილისა და დილის ტუალეტის შემდეგ კოსმონავტებმა გააკონტროლეს საბორტო სისტემები, ისაუზმეს და შეუდგნენ ფრენის მესამე დღის პროგრამის შესრულებას.

მოსკოვის დროით 12 საათისათვის „სოიუზ-19“ ხომალდმა ოცდამეთექვსმეტე შემოუარა დედამიწას, აქედან 13-ჯერ — სამონტაჟო ორბიტას. სატრაექტორიო გაზომვათა შედეგებმა დაადასტურეს ბალისტიკურ გაანგარიშებათა და მის მიხედვით გავლებული ორბიტის კორექციის დიდი სიზუსტე. ამერიკის მხარესთან წინასწარ შეთანხმებული მნიშვნელობისაგან სამონტაჟო ორბიტის მაქსიმალურმა გადახრამ შეადგინა 250 მეტრი (1500 მეტრი დასაშვები სიდიდის დროს), ხოლო გაანგარიშებულიდან ორბიტის გათვალისწინებულ წერტილში ხომალდის მისვლის დროის გადახრამ — 7,5 წამი (დასაშვები 90 წამის დროს).

მოსკოვის დროით 11 საათისათვის მანძილი ხაბჭოთა კოსმოსურ ხომალდს „სოიუზ-19“-ხა და ამერიკის ხომალდ „აპოლონს“ შორის შეადგენდა 1.405 კილომეტრს. კოსმოსური ხომალდები „სოიუზი“ და „აპოლონი“ **უნდა შეპირაპირდნენ დღეს 19 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით.**

ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი თავს კარგად გრძნობენ. ფრენა გრძელდება.

ჰიუსტონი, ფრენის მართვის ცენტრი, 17 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). კვლავ დაფრინავს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონი“, რომელშიც ასტრონავტები თ. სტაფორდი, ვ. ბრანდი და დ. სლეიტონი არიან. მოეწყო „აპოლონის“ ორბიტის მორიგი კორექციები, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით უნდა უზრუნველყონ მისი შეხვედრა „სოიუზ-19“ კოსმოსურ ხომალდთან.

საკომანდო მოდულის შესაპირაპირებელ მოწყობილობაში გუშინდელი უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ ასტრონავტები საკომანდო მოდულიდან შესაპირაპირებელ მოდულში გადავიდნენ. დადგეს იქ სატელევიზიო კამერები, შეამოწმეს საბორტო სისტემები და მოამზადეს ისინი პასუხსაგები ოპერაციისათვის — „სოიუზ-19“ ხომალდთან შეპირაპირებისათვის, რომელიც დღეს უნდა მოხდეს 19 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით.

როგორც ფრენის მართვის ცენტრში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, ასტრონავტებმა პროკრამის შესაბამისად მოაწყვეს სამეცნიერო ექსპერიმენტების სერია, რომელთა მოცულობა რამდენადმე შეიკვეცა გუშინდელ უწესივრობათა აღმოფხვრის სამუშაოებთან დაკავშირებთან, კოსმონავტები აკვირდებოდნენ და იღებდნენ დედამიწას, კერძოდ, გადაიღეს წყნარი ოკეანის სამხრეთი რაიონი, ახალი ზელანდია და შეერთებული შტატების დასავლეთი სანაპირო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცნობა

ხომალდები „სოიუზ-19“ და „აპოლონი“ შეპირაპირდნენ

1975 წლის 17 ივლისს 19 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-19“ და ამერიკული ხომალდი „აპოლონი“ შეპირაპირდნენ. კოსმონავტიკის ისტორიაში პირველად ერთობლივ ფრენაში ერთდროულად მონაწილეობენ კოსმოსის ორი ქვეყნის მკვლევარნი: საბჭოთა კოსმონავტები ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი და ამერიკელი კოსმონავტები — თომას სტაფორდი, ვენს ბრანდი და დონალდ სლეიტონი.

შეპირაპირების შესასრულებლად ტრაექტორიის ორი კორექციის შედეგად „სოიუზ-19“ გადაიყვანეს გაანგარიშებულ სამონტაჟო ორბიტაზე. შეპირაპირებამდე ორი გარშემოვლის წინ ეკიპაჟმა ხელის მართვით შეასრულა ორბიტული ორიენტაცია, რის შემდეგაც დაახლოება მიმდინარეობდა ამერიკული ხომალდის თანამმდევრული მანეკვრირებით. 10 მეტრის მანძილიდან ხომალდ „აპოლონის“ ორიენტაცია და მიდგომა ხელით ხორციელდებოდა, რასთანაც გამოიყენეს შესაპირაპირებელი სამიზნე, რომელიც დაყენებულია ხომალდ „სოიუზ-19“-ზე. საბჭოთა ხომალდი დაახლოებისა და მიდგომის დროს უზრუნველყოფდა შეპირაპირებისათვის საჭირო ორიენტაციას. ხომალდების შეხების შემდეგ მათი შესაპირაპირებელი აგრეგატების გადაბმა, მოჭიმვა და პირაპირის ჰერმეტიზაცია ავტომატურად მოხდა.

შეპირაპირების წარმატებით დამთავრებამ ექსპერიმენტულად დაადასტურა, რომ ტექნიკურად სწორად გადაწყდა შეთავსებადი შეპაპირაპირებელი აგრეგატების კონსტრუირება, რომლებიც საბჭოთა და ამერიკელმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა შეიმუშავეს შემოქმედებითი თანამეგობრობით.

ერთობლივი ფრენის მომდევნო ორი დღეღამის განმავლობაში კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-19“ და „აპოლონის“ ეკიპაჟები გადავლენ ერთი ხომალდიდან მეორეში და ერთად ჩაატარებენ სამეცნიერო ექსპერიმენტებს.

ხაბჭოთა და ამერიკის მხარეების შეთანხმების შესაბამისად, გადასვლების დროს კოსმონავტები გაცვლიან ეროვნულ ალმებს, მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევასა და გამოყენებაში სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატებია თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ტექსტებს, სამახსოვრო მედლებსა და ხელმანდილებს, აგრეთვე ხეების თესლს, რომლებსაც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დათესავენ. შეპირაპირებულ ხომალდებში ეკიპაჟები ხელს მოაწერენ ცნობას „სოიუზ-19“ და „აპოლონის“ ხომალდების შეპირაპირების განხორციელების შესახებ.

„სოიუზ-აპოლონ“ კოსმოსური კომპლექსის და მისი საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენა გრძელდება.

განხორციელდა მთელი რიგი ასტრონომიული და ბიოლოგიური ექსპერიმენტები, აგრეთვე „აპოლონში“ დადგმული უნიკალური ელექტროღუმელის გამოცდების სერია, რათა გამოვლენილ ათ უწონობის პირობებში მასალების კრისტალიზაციის, კონვექციისა და შერევის პროცესები.

დღეს დაახლოებით დილის 11 საათზე მოსკოვის დროით დამთავრდა ამერიკელ ასტრონავტთა მეორე რვასაათიანი დასვენების პერიოდი. როგორც ფრენის მართვის ცენტრში განაცხადეს, თ. სტაფორდი, ვ. ბრანდი და დ. სლეიტონი თავს კარგად გრძნობენ.

— მეტად კმაყოფილი ვარ „აპოლონისა“ და „სოიუზის“ ხომალდების, ფრენის მომდინარეობით, — თქვა საკლესის კორესპონდენტთან საუბარში ერთობლივი ფრენის დირექტორმა ამერიკის მხრიდან ფ. ლიტლტონმა. — აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — რომ ეკიპაჟები შეასრულებენ ერთობლივი კოსმოსური მისიის ამოცანებს. ფრენის წარმატებას ბევრად უწყობს ხელს დედამიწაზე საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა.

ეს აზრი მთლიანად გაიზიარა ჰიუსტონის ცენტრში მყოფმა საბჭოთა საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა ე. ნ. ბობკოვმა.

საბჭოთა ხელმძღვანელების მილოცვა

მეგობარი ავღანეთისადმი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს გაუგზავნეს შემდეგი მინაარსის დეპეშა: „ვფლითადად გილოცავთ თქვენ, ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას, მეზობელი ავღანეთის მთელ მეგობარ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს — ავღანეთის რესპუბლიკის დაარსების მეორე წლისთავს.

საბჭოთა ხალხი სიმპათიით ეკიდება დიდ აღმშენებლობითს მუშაობას, რომელიც ავღანეთის რესპუბლიკაში ხორციელდება, და გულწრფელად ახარებს ავღანელი ხალხის მიღწევები.

კმაყოფილებას გამოვთქვამთ, რომ მოსკოვში ჩვენი შეხვედრებისა და საუბრების დროს დასახული ღონისძიებანი გრძელდიან საფუძველზე საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის წარმატებით ხორციელდება. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა და კეთილმეზობლობა კვლავაც განუხრელად განმტკიცდება და განვითარდება საბჭოთა და ავღანელი ხალხების ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის, კეთილდღეობისათვის.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, თქვენს თანამებრძოლებს, მეგობარი ავღანეთის ხალხს ბედნიერებას, კეთილდღეობას, წარმატებებს ქვეყნის ეროვნული განახლებისა და სოციალური პროგრესის საქმეში.“

მიფრინავს „სალუტ-4“

ფრენის მართვის ცენტრი, 17 ივლისი (საკდესი). „სალუტ-4“ სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟი განაგრძობს დედამიწისიერგვლივ ორბიტაზე მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების დაგეგმილი პროგრამის შესრულებას. პეტრე კლიმუკისა და ვიტალი სევასტიანოვის მორიგი სამუშაო დღე ნაკლებად დაძაბული იყო. კოსმონავტებმა სისტემაში მოიყვანეს კვლევის შედეგები, მოამზადეს ცალკეული მეცნიერული ხელსაწყოები მომავალი სამუშაოებისათვის.

ამის შედეგად, რომ უკანასკნელი დღეების მანძილზე „სალუტ-4“ სადგურის ფრენა მიმდინარეობდა ორბიტაზე, რომელიც პრაქტიკულად არ შეიდედამიწის ჩრდილში, სითბოს ნაკადი სადგურის ზედაპირზე მოპატებული იყო. ასეთ პირობებში სადგურის ნაკეთურებში ნორმალური ტემპერატურის რეჟიმს უზრუნველყოფდა თერმორეგულირებისა და ვენტილაციურების სისტემის დამატებითი კონტური.

დღის განმავლობაში კოსმონავტებმა განაგრძეს სადგურის შიდა ინტერიერის კინო და ფოტო გადაღება, შეასრულეს ფიზიკური ვარჯიში და დასვენეს.

პეტრე კლიმუკი და ვიტალი სევასტიანოვი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობენ. სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ტემპერატურა სადგურის ნაკეთურებში ფარ 21 გრადუსს ცელსიუსით, წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 800 მილიმეტრია, შედარებითი ტენიანობა — 58 პროცენტი.

„სალუტ-4“ ორბიტული სადგური ფრენას განაგრძობს.

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

157 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). საშენ მასალათა კომბინატის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ქაჯაია) კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 108,7 პროცენტით შეასრულა და პროდუქციის რეალიზაციის დაგალების 157 ათასი მანეთით გადააჭარბა. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანა საწარმოს კოლექტივმ. წლის პირველ ნახევარში ეგეგმის გადამეტებით გამოშვებულია 135 ათასი მანეთის ნაწარმი.

საწარმოს კოლექტივი ჩაება პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან გადახდა ადრინდელ ვალდებულებებს და დამატებით კიდევ ოცსა და 50 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება.

წლის პირველი ნახევრის შედეგებით გამარჯვებული გამოვიდნენ მოზაიკური ფილებისა და პლასტმასის ნაკეთობათა საამქროების კოლექტივები. მათ ლ. ცხომელიძე და რ. ჯანელიძე ხელმძღვანელობენ.

ვიმპელები გადაეცათ

ვურის მკაში

სიღნაღი. („კომუნისტის“ კორ.). ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 2.638 ჰექტარზე თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დროზე და უდანაკარგოდ დაამთავრა, საშუალოდ ჰექტარზე გაილეწა 25 ცენტნერი მარცვალი.

სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შესრულდა. მარტო წლეულს სახელმწიფოს მიეყიდა 2.250 ტონაზე მეტი მარცვალი ნაცვლად 398 ტონისა.

ამ წარმატებებისათვის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. გელაშვილი) „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვიმპელი გადაეცა.

ჩაის კრეფაში

მახარაძე. (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. წითლიძე) 10 დღეში მოკრიფა და გადასამუშავებლად ფაბრიკას ჩაბარა 735 ტონა ჩაის ნედლეული, მოკრეფილი ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 3.097 ტონა „მწვანე ოქრო“.

დაწინაურდნენ ბრიგადირები გ. მახარაძე, მ. გობრონიძე, მერგოლურები ე. მაჩაბელი, ზ. ბაქანიძე, კოლმეურნეები სოციალისტური შრომის გმირი ი. ჭურეიძე, ნ. ბაქანიძე, ი. ნაკაიძე, ნ. მახარაძე, საკრეფ მანქანაზე მომუშავე დ. მახარაძე.

კოლმეურნეობის რაიონში ყველაზე მეტი წარმატებებისათვის „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბარდგამკალი ვიმპელი გადაეცა.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ქ. გოგიბერიძე) სეზონის დაწყებიდან მოკრიფა 4.097 ტონა ფოთოლი, აქედან უკანასკნელ 10 დღეში — 733 ტონა.

ჩაის ნედლეულის კრეფაში წინ მიიწევენ ის აგრეგანყოფილებები, რომელთა მმართველები არიან გ. ჩაფიძე, ვ. სვანიძე, ჯ. ჯაბუნია. მან 10 დღეში მოკრიფეს 60 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ თვითეულმა.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობას გადაეცა „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბარდგამკალი ვიმპელი.

კოსმოსიდან საერთაშორისო ეკიპაჟი

ეს დღე, 17 ივლისი და დრო, 19 საათი და 12 წუთი კაცობრიობის მატიანეში შევა. როგორც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. მიღწეულია უმაღლესი წერტილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კოსმოსურ ფრენაში: ხომალდები „სოიუზი“ და „აპოლონი“ შეპირაპირდნენ. კოსმოსურ ორბიტაზე შეიქმნა კომპლექსი, რომელსაც საერთაშორისო ეკიპაჟი ყავს.

როგორ მიმდინარეობდა ეს დღე ფრენის მართვის მოსკოვის ცენტრში, სადაც ეს სტრიქონები იწერება?

ცენტრის სპეციალისტებს მთელი დღე დაგეგმილი აქვთ წუთობით, უფრო სწორად, წამობით. და მაინც საბჭოთა კავშირის მხრივ „სოიუზ“-„აპოლონის“ პროექტის დირექტორმა პროფესორმა გ. დ. ბუშუევმა გამონახა დრო, რათა რამდენიმე სიტყვა ეთქვა საკლესის სპეციალური კორესპონდენტისათვის.

— დღევანდელი დღე, უნდა ითქვას, ყველაზე დაძაბული დღეა, — თქვა მან. — შეპირაპირება! არ მინდა ოდნავადაც შევამციროო სტარტის, მეცნიერული და ტექნიკური ექსპერიმენტების, და ბოლოს, დედამიწაზე ხომალდის ეკიპაჟის დაბრუნების საშუშაობის მნიშვნელობა. და მაინც დღევანდელი დღე ჩვენთვის არაჩვეულებრივი დღეა. იგი აჯამებს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერთა და სპეციალისტთა მრავალი თვის მუშაობის შედეგებს. ანდროგენული საპირაპირო კვანძი ორი ქვეყნის ინჟინერთა ერთობლივი შრომის შედეგია, ხომალდების სიცოცხლის უზრუნველყოფის მოდერნიზებული სისტემები, ბორტი და დაახლოების სისტემები და ბევრი სხვა რამ გამოცდას გადის მთელი მსოფლიოს წინაშე. მაგრამ მთავარი გამომცდელია თვით კოსმოსი. გუშინ ზოგიერთი სიძნელე წარმოიშვა ხომალდებში. საბჭოთა კოსმონავტებს საქმე ჰქონდათ ტელევიზიის აპარატურასთან, ამერიკელებს სარაბი საკანში გადასასვლელი ლუკის გახსნასთან. ყველამ სიხარულით შევიტყვეთ, რომ კოსმონავტთა და ასტრონავტთა ეკიპაჟებმა გამომძეღავნეს ჩინებული გამძლეობა, დიდი ცოდნა და უნარი. ჩვენ მადლობას მოვახსენებთ მათ ამისათვის.

შეპირაპირებამდე ჯერ კიდევ სამი საათია დარჩენილი. კიდევ შეიძლება გამოიძებნოს წუთი, რათა ვესაუბროთ სპეციალისტებს, შევიტყოთ მათგან, თუ როგორ მოხდება ყოველივე, ინჟინერმა ი. ნ. პეტროვმა თოჯრის ზეპირად იცის მთელი მომავალი ამბების გრაფიკი:

— წარმოიდგინეთ, — გვიჩვენის იგი, — რომ სადღაც „აპოლონისა“ და „სოიუზის“ გვერდით, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე მიფრინავენ, არის კიდევ ერთი კოსმოსური ხომალდი. მისი ილუმინატორებიდან ვაკვირდებით ძებნისა და დაახლოების სურათს. ჩვენს წინაშეა კოსმოსი ბარინდებული ვარსკვლავებითა და ორი განათებული წერტილით, რომელიც ერთმანეთს მისდევს. მოულოდნელად კოსმოსის წყვდიადს სერავს კაშკაშა შუქი. ეს ამერიკულ და საბჭოთა ხომალდებზე დადგმული იმპულსური შუქურების სიგნალებია.

— გვითხარით, თუ შეძლება, რა დროს მოხდება ეს!

— 16 საათსა და 52 წუთზე მოსკოვის დროით. გიჩვენებთ სქემას, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა შესაპირაპირებელ ოპერაციების შესახებ.

ჩემმა მოსაუბრემ გაშალა ვატმანი, რომელზეც გრაფიკულად დახატულია 17 ივლისს ხომალდების ფრენა, მათ შორის შეპირაპირება, ამასთან აღნიშნულია საათი, წუთი და წამიც.

შეხედეთ, — გვიჩვენებს სპეციალისტი, — აქ აღნიშნულია გარშემოვლის ნომერი, ფრენის დრო, მანძილი ხომალდებს შორის, იმ საქმიანობის მოკლე შინაარსი, რომელსაც ეკიპაჟი ასრულებს. მაგალითად, 34-ე გარშემოვლაზე 16 საათსა და 02 წუთზე მანძილი ხომალდებს შორის იქნება 441 კილომეტრი, 16 საათსა და 38 წუთზე — 269 კილომეტრია, 16 საათსა და 45 წუთზე — 241 კილომეტრი, 17 საათსა და 15 წუთზე 150 კილომეტრი.

ახლა კი გავერკვეთ, თუ რა ხდება, მაგალითად, 16 საათსა და 45 წუთზე. „სოიუზი“ „აპოლონისაგან“ დაშორებულია 241 კილომეტრით. ამ დროს ჩაირთვება „სოიუზის“ მიმდებ-მოპასუხე და „აპოლონის“ ულტრამკლეტალღიანი სამუალებებით შეუდგება „სოიუზ“ ხომალდისადმი თვალთვალს. გადის კიდევ 35 წუთი, და ხომალდებს შორის მანძილი 150 კილომეტრით მცირდება.

ფრენის მართვის ცენტრის მთავარ დარბაზში შეიკრიბნენ ფრენის ხელმძღვანელები, „ინტერკოსმოსის“ საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ბ. ნ. პეტროვი, ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრის უფროსის მოადგილე ა. გ. ნიკოლაევი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ბ. ვ. ვოლინოვი, ო. გ. მაკაროვი, მეცნიერები, კონსტრუქტორები, სპეციალისტები. აქ არის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში უ. სტფსელი.

**— თომას სტაფორდი და მისი ეკიპაჟი ახლა ახორციელებენ უმნიშვნელოვანესი ტექნიკური ოპერაციის დამამთავრებელი ეტაპისათვის საჰირო მანევრებს, უპასუხებს ჩემს მდუმარე კითხვაზე

ავამაღლოთ პროფკავშირთა ბრძოლისუნარიანობა

რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭომ გამართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „პირველადი პროფორგანიზაციებისა და პროფჯგუფების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIV ყრილობისა და პროფკავშირთა XV ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით“.

მოხმენილ იქნა მოხსენებები: საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის თ. მოსაშვილისა: „პირველადი ორგანიზაციებისა და პროფჯგუფებისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ი. მიქელაძისა: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა რესპუბლიკის მშრომელთა მოქმედების საბრძოლო პროგრამაა“.

სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ზედგინიძე, მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ა. შოშიაშვილი, პროფკავშირთა ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ო. ოკუჯავა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრის პროფბიურო გი უ. ივანიშვილი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პარტკომის მდივანი ხ. ივანიძე, საქართველოს ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. პოლოლიაშვილი, ტყიბულის კულტურის სასახლის დირექტორი ზ. ჯორჯაძე.

ვაქვეყნებთ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ანგარიშს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები უწყვეტად საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით ეშზადებიან სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა ისე წარმართონ მუშაობა, რომ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მეორე ნახევარი გადააქციონ თვისებრივად ახალ ეტაპად პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების ხორცშესხმისათვის, ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა ცოცხალ საქმედ განხორციელებისათვის.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საშრომლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 200 მილიონი მანეთის სამრეწველო და 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია — აი რისთვის იღვწიან ახლა საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში არაერთი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ძირეულ სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტაში დიდია პროფკავშირების როლი.

ამას წინათ შემდგარ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროფკავშირის აქტივობას, მისი—მასების ხელმძღვანელისა და ინტერესების გამოხატველის საბრძოლო როლის ამაღლებას. როგორც კომუნიზმის სკოლის, შეურნეობის გაძღოლის სკოლის როლის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების საქმეში.

როგორც ცნობილია, პროფკავშირის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია. ამიტომ რამდენადაც მტკიცე და ბრძოლისუნარიანია თვითეული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, იმდენად სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს მთელი შრომითი კოლექტივი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა რესპუბლიკის პროფკავშირთა ბრძოლისუნარიანობა, გაიზარდა მათი გავლენა ჩვენი ცხოვრებისა და ყოფის ყველა მხარეზე. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ გაწეულია დიდი და შინაარსიანი მუშაობა. ხელმძღვანელობდა რა სკკპ XXIV ყრილობისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო XV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებებით, რესპუბლიკის პროფსაბჭო პროფკავშირთა საბჭოებისა და კომიტეტების ყურადღებას მიაქცევდა მათი მოღვაწეობის გაძლიერებას, შრომითი კოლექტივების მობილიზაციას არსებული რეზერვებისა და ადგილობრივ შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებისათვის.

ამჟამად საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები თვითინთ რიგებში ითვლიან 17 ათასზე მეტ პირველადს პროფორგანიზაციას, აგრეთვე 38 ათასამდე საამქრო ორგანიზაციასა და პროფჯგუფს, რომლებიც განსაზღვრავენ პროფკავშირული მოღვაწეობის დონეს ადგილებზე.

უკანასკნელ ხანებში პროფკავშირთა რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა საბჭოებმა და კომიტეტებმა, საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივმა კომიტეტებმა რამდენადმე გააძლიერეს მუშაობა პირველად პროფორგანიზაციებთან, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე მოიყვანეს იმის მრავალი მაგალითი, რომ საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტები, მათი მუდმივი კომისიები, საამქრო კომიტეტები და პროფჯგუფები აქტიურ ზეგავლენას ახდენენ წარმოებაზე, გამოდან ძალოვანი ფორსაჟორ თაოსნობით, სრულად იყენებენ მინიჭებულ უფლებებს. მაგალითად, საქარხნო კომიტეტისა და მასი პრეზიდიუმის ფართო წარმომადგენლობა სამუალებას აძლევს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პროფკავშირულ კომიტეტს მისწვდეს საწარმოს ცხოვრების ყოველ კუნჭულს, დროულად გაიგოს მასებს ხმა და გამოიმაყაროს მოგლენებს.

ორგანიზატორული უნარი და კონკრეტულობა მუშაობაში, შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი დამახასიათებელია აგრეთვე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, გარდაბნის რაიონის მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, აგრეთვე სხვა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისათვის.

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები, რომლებიც მუდმივად სრულყოფენ შესრულების შემოწმებასა და კონტროლს, ორგანიზაციულად განიხილავენ პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო, რაიონული, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ანგარიშებს, განაზოგადებენ საუკეთესოთა გამოცდილებას, გადამჭრელ ზომებს იღებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა და იმ პროფკავშირულ მუშაკთა წინააღმდეგ, რომლებიც ვერ ამართლებენ მათთვის აღმოჩენილ ნდობას.

კონფერენციაზე აღინიშნა, თუ როგორი დონისძიებანი განახორციელა ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის, საამქრო ორგანიზაციებისა და პროფჯგუფების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. ამან სათანადო შედეგიც გამოიღო — ქარხანამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გაიარა გზა ჩამორჩენილიდან მოწინავემდე. და ეს საწარმო ჯამონაკლისი როდია. ახლა ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის ყველა საწარმოს კოლექტივები ასრულებენ შემხვედრ გეგმებს.

წლების მანძილზე პროფკავშირთა ქუთაისის საქალაქო საბჭოში შეიქმნა პროფკავშირული კადრების სწავლებისა და მოშზადების მწყობრი სისტემა. ამ საქმის სასახელოდ

აქ სპეციალური სემინარები, ინფორმაციის დღე, პროფაქტივის სწავლების სკოლა და სხვ.

ეკონომიკა — ეს მთავარი პოლიტიკა — პროფკავშირთა მოღვაწეობის გადამწყვეტი უბანია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებში, საბჭოთა ხალხისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში დასმულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანები. პროფკავშირები საწარმოთა, ორგანიზაციათა, მშენებლობათა, საზოგადოებრივ მეურნეობათა მთელ მეცადინეობას მიმართავენ წარმოების ეფექტურობის შემდგომი ყოველმხრივი ამაღლებისაკენ, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირებისაკენ.

მასებთან მუშაობის გარკვეულმა დადებითმა გამოცდილებამ, რაც საქართველოს პროფკავშირებმა შეიძინეს, თავისი გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებაში. საქართველოში ახლა სოციალისტური შეჯიბრების დროშით იბრძვის მუშა-მოსამსახურეთა და სოფლის მშრომელთა თითქმის 98 პროცენტი. სულ უფრო ღებულ ფორმალურს ხდება შრომითს მეტოქეობაში. იგი მდიდრდება ახალი პროგრესული ფორმებით. იდება შეჯიბრების ხელშეკრულებები რაიონებსა, ქალაქებსა, ოლქებსა და რესპუბლიკებს შორის. სულ უფრო ვრცელდება შეჯიბრება შემზადება გეგმების საფუძველზე. მეცხრე ხუთწლედის შესრულების მიმდინარეობაში ჩვენს რესპუბლიკაში გავიცანეთ ახალი პატრიოტული თაოსნობები, რომლებიც აჩქარებენ სახალხო მეურნეობის განვითარებას და შრომის ნაყოფიერების ტემპების ზრდას.

შეჯიბრების წარმატების განსაზღვრავს მისი ლენინური პრინციპების —საჯაროობის, შედეგების შესადარობის, საუკეთესოთა გამოცდილების გამეორების შესაძლებლობათა განუხრელი დაცვა.

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. კონფერენციაზე ხაზესმით სამართლიანად მოკლედ შეეხნენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხაზით გაწეულ გარკვეულ შუამავლ, აქცენტი გადაიტანეს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებსა და ამოცანებზე. აღინიშნა, რომ ინსტიტუტებში სამეცნიერო გამოკვლევათა ეკონომიკის საკითხებზე სრულიად არასაკმარისად მუშაობენ. ტექნიკური პროფილის მთელი რიგი საუზეო ინსტიტუტები სათანადოდ არ იყენებენ თავიანთ ძალებს იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებიდან. საქართველოს სახალხო მეურნეობასთან განსაკუთრებით სუსტი კონტაქტები აქვთ საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტებს. არსებობენ ისეთი საკავშირო ინსტიტუტებიც, რომლებსაც წლების მანძილზე არაფერი არ გაუკეთებიათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. სრულიად არასაკმარისია გეგმიანი წესით დასანერგავად გათვალისწინებული თემების პროცენტი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ბრალი მიუძღვით თვით საწარმოებს, სამინისტროებსა და უწყებებს. რომლებიც მეცნიერებაზე სრულიად უმნიშვნელო სახსრებს ხარჯავენ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა საგრძნობ ეკონომიურ ეფექტს იძლევა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. მაგრამ ბრძოლა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დასანერგავად ჩვენს საწარმოებში ნაკლებეფექტურად, არამიზანმიმართულად წარმოებს, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები რატომღაც უკანა პლანზე გადაეკვეთ.

ყველაფერი არ არის რიგზე ახალი ტექნიკის დანერგვის მხრივ, რომლის გეგმები ადრე ჩვეულებრივ 80-90 პროცენტით სრულდებოდა, ხოლო 1973-1974 წლებში შესაბამისად 97 და 99 პროცენტამდე ავიდა.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების მხრივ — იგი საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

ბოლო ხანებში შესამჩნევია პროფკავშირთა აღმოსავლეთი მუშაობის ყოველმხრივი სრულყოფა ჩვენს საზოგადოების გადამწყვეტ რგოლებში —შრომითს კოლექტივებში, მათი როლის ამაღლებაში, მუშა-მოსამსახურეებში კომუნისტური შეგნებულობის ფორმირების განუხრელი კავშირი მათს საწარმოო მოღვაწეობასთან. კიდევ უფრო განმტკიცდა შრომითი კოლექტივების მეგობრობა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. უკანასკნელ წლებში მოეწყო რესპუბლიკის კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეთა შეიდი ათასამდე შეხვედრა საქართველოს მშრომელებთან. აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი სრულყოფისაკენ არის მიმართული რესპუბლიკის პროფკავშირთა კულტურის სასახლეების, სახალხო უნივერსიტეტების, კომუნისტური შრომის სკოლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების საქმიანობა.

ყოველივე ეს დადებითად მოქმედებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან მხარეებზე, როგორიც არის შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცება, ანტისაზოგადოებრივ ფენომენებთან ბრძოლის გაძლიერება და სხვ. მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. ჯერ კიდევ სათანადო ბრძოლა არ წარმოებს სამუშაო დროის დანაკარგების შესამცირებლად.

სუსტია ბრძოლა პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების, მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და განახლებისათვის, შარშან 450 საწარმოში პროდუქციის ხარისხის მდგომარეობის შემოწმებამ გამოავლინა დადგენილი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევის 252 შემთხვევა.

პროფკავშირულმა ორგანოებმა უნდა აამაღლონ მომთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი. ჩვენს მუშაობას კადრებთან უნდა ვიფასებდეთ „კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ ტ. ბუბნოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პოზიციიდან. მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება — ასეთია პროფკავშირული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანები.

მაგრამ, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე აღინიშნა, მთელ რიგ საწარმოებში, საზოგადოებრივ მეურნეობებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე ჯერ კიდევ დაბალია პროფკავშირული ორგანიზაციების როლი. ისინი ღრმად ვერ სწვდებიან ეკონომიკას, არ ეჩენენ საჭირო ინიციატივასა და პრინციპულობას ძირეული საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში, ნაკლებად რაზმავენ კოლექტივებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, სუსტად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, სათანადოდ არ წყვეტენ სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებს. პროფკავშირთა ზოგიერთი რესპუბლიკური კომიტეტი ნელა გარდაქმნის თავის მუშაობას, ვერ აწყობიგვიან კავშირს შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

პროფკავშირთა ძლიერების წყაროა პარტიული ხელმძღვანელობა. ამოცანა ის არის, რომ პარტიულმა კომიტეტებმა გააძლიერონ პროფესიული კავშირებისადმი ხელმძღვანელობა, განაკითარონ მათი ინიციატივა და თვითმოქმედება, არ დაუშვან წვრილმანი მეურვეობა, ყურადღებით მოეკიდონ პროფკავშირული ორგანოების თვითეულ საქმით წინადადებას, მოეთათბირონ მათ წარმოების, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტის დროს.

ჩვენმა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ, რომლებიც იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, უნდა ჩაებარონ კიდევ ერთი გამოცდა — იდეური და პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა. ახლა მთავარია იდეოლოგიურად უზრუნველყოთ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, საზოგადოებრივი წარმოების მაღალი ეფექტიანობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის წარმატება.

• • •

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ ორგანიზებულად, შინაარსიანად ჩაიარა. მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა წამოაყენეს პროფკავშირულ ორგანიზაციათა პრაქტიკული საქმიანობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები, საყურადღებო წინადადებანი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც განიხილა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობის შედეგები, დაავალა პროფსაბჭოს განყოფილებებს გააანალიზონ აქ წამოყენებული წინადადებანი და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი შესრულებისათვის, ხოლო ის საკითხები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტას მოითხოვს, შეიტანონ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საოლქო, საქალაქო და რაიონულ პროფსაბჭოებს, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს დაეგეგმონ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მოწყობა და სხვა ღონისძიებების განხორციელება პროფკავშირთა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების, საამქრო ორგანიზაციებისა და პროფჯგუფების მუშაობის გასაძლიერებლად, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი როლის ასამაღლებლად.

გ. ზუკაკიშვილი.

სანამ სექტემბრის წარი დაირეკებოდეს

ერთიანული ბიბლიოთეკა

სამი კვლაზე... ერთ ოთახში

მუშაობის საშუალო სკოლის ძველ შენობას ახალი სასწავლო კორპუსი მიუშენდა. ეს კი ხელს უწყობს სწავლების კაბინეტურ სისტემას.

კაპიტალურია ზუმის და ხაბუმის საშუალო სკოლების შენობები. ამის გამო ისინი მხოლოდ მიმდინარე რემონტს საჭიროებენ. მათ სათანადო სახსრები გამოეყოფოთ. ახუთის რვაწლიანი სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა დამკვრელურად შენდება: მას სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცხაკაიას № 5 ტრესტის ჩხოროწყუს № 2 სამშენებლო რაზმი ამენებს. აქ მუშაობს მოსწავლეთა სამშენებლო ბრიგადაც.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი განიხილა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიამ და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. მიმდინარე წელს სკოლებისათვის გამოყოფილი 44 ათასი მანეთიდან უკვე ათვისებულია 32 ათასი მანეთი.

ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლა მიმდინარე წელს გადასცეს სანიტარულ ექსპლოატაციიდან. მშენებლებს ზოგი რამ დაუდევრად გაუკეთებიათ: კედლებზე მიმაგრებული კარადები უკანა მხარე უბათქაშოა, მუყაოს ფურცლით დაუფარავთ, ფურცლები კი დახეულა. კარები ძნელად იღება, საკეტები მოშლილია. მინების დიდი ნაწილი ჩამტვრეულია.

...ნაშელუში (ჯირცხის სასოფლო საბჭო) ხის ფიცრული სასკოლო შენობა იყო. სათანადო სახსრების გამოძებნის შემდეგ ახალი ქვეტკირის შენობის აგება გადაწყვიტეს. მაგრამ გაჩნდა პრობლემა — ვის უნდა აეშენებინა. გადაწყდა იგი აეშენებინა საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო საბჭოს (უფროსი ა. ლაგვილავა). მშენებლობა თავიდანვე უხარისხოდ წარმართა. ქვისა და რკინის კიბე ხის საყრდენზეა, საფეხურების დიდი ნაწილი დეფორმირებულია. ბევრ ოთახში პლინტუსები არ გაუკეთებიათ და კედლებისა და იატაკის შეერთების ადგილები ქაღალდით არის ამოტენილი. სახურავი დაზიანებულია, ოთახებში წვიმა ჩამოდის. ა ვ ა ნ ზ ე დგას ძველისძველი თუნუქის ავზი, რომელშიც სასმელ წყალს ასხამენ. ზარის ნაცვლად ავიწის ქვემოთ ძველი ავტომანქანის დისკი ჰკიდია... თითქოს წვრილმანია, მაგრამ გულსატკენია. სკოლაზე კი 28.994 მანეთი დიხარჯა.

სავალალო მდგომარეობაა სასახურიოს დაწყებით სკოლაში: მის ერთადერთ ოთახში სწავლა უწევთ... პირველ, მეორე და მესამე კლასებს!

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
შ. ქვარცხავა,
გაზეთ „ნაპერწკლის“ რედაქტორის მოადგილე.

მეცხოველეობა დამკვრელური უბანია

გვექნება საკვები — გვექნება ხორციც, რძეც!

საკვების დამზადება კოლმეურნეოგებსა და საბჭოთა მეურნეოგებში 1975 წლის 14 ივლისისათვის
(პროცენტობით)

		აქედან			
	სულ უხეში საკვები	თივა	სენაჟი	სხვა უხეში საკვები	ბზა სიილოსი
ახალქალაქის	21	1	63	—	—
ბოგდანოვკის	2	—	6	—	—
ახალციხის	35	1	62	—	—
ადიგენის	67	—	64	—	—
აპარნის	27	7	37	—	—
ხაშურის	63	28	124	4	—
ქარელის	41	26	102	5	—
გორის	67	33	117	6	—
კასპის	43	24	108	5	—
ბორჯომის	1	—	3	—	—
საბარეჯოს	63	42	74	39	—
ბურჯაანის	107	50	137	54	—
სიღნაღის	81	79	72	63	—
ნინოწმინდის	72	76	89	43	7
თელავის	52	19	54	46	—
ახმეტის	65	24	60	53	—
ყვარლის	69	14	36	66	—
ლაგოდეხის	60	28	18	71	—
ბაღდათის	96	96	70	38	—
მცხეთის	92	71	107	16	—
მარნეულის	74	19	136	31	4
გოლენისის	57	32	58	12	—
წალკის	7	—	21	—	—
დუშეთის	25	10	80	5	—
თეთრი წყაროს	39	16	68	6	—
დმანისის	9	4	18	04	—
თიანეთის	36	11	80	—	—
სამხრეთ ოსეთის აო	23	4	57	4	—
წალენჯიხის	4	18	—	3	—
სამტრედიის	21	13	66	5	—
ფულეკიძის	4	2	2	5	—
ვანის	04	4	—	—	—
მაიაკოვსკის	2	20	1	1	—
ზესტაფონის	20	30	25	12	—
თერჯოლის	12	10	—	12	—
ჭიათურის საქ. საბჭო	9	23	31	1	—
საჩხერის	5	17	—	3	—
ონის	4	5	—	—	—
ამბროლაურის	5	9	—	—	—
ცაგერის	4	10	—	—	—
ცხინვალის	10	—	53	—	—
გეგეჭკორის	2	—	20	—	—
ზუგდიდის	12	10	38	—	—
ლანჩხუთის	1	1	3	—	—
აფხაზეთის ასსრ	7	13	18	—	—
აბაშის ასსრ	8	5	15	—	—
სულ	33	11	58	16	1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ბალახის აღებასა და საკვების დამზადებაზე უნდა გავუფრთხილდეთ თვითეულ საათს, უნარიანად მოვაწყოთ შრომა, დიდმწარმოებლურად გამოვიყენოთ ტექნიკა. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ცნობა ცხადყოფს, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ მოუკიდიათ ხელი ფერმებში საკმარისი საკვების მარაგის შექმნისათვის. ერთი კვირის მანძილზე — 7-14 ივლისს — ყველა სახეობის უხეში საკვების დამზადება მხოლოდ 8 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის თივისა — 3 პროცენტით, სენაჟისა — 11 პროცენტით, სხვა უხეში საკვებისა — 6 პროცენტით.

ტემპი არასაკმარისია და შეშფოთებას იწვევს, რომ ზოგიერთ რაიონებში საკვების დამზადება ძალზე გაჭიანურდება, თანაც შეიძლება შეიქმნას არასახარბიელო მდგომარეობა პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

ნელა მიმდინარეობს სენაჟის ჩადება ყვარლის, ლაგოდეხის, წულუკიძის, ზესტაფონის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ლანჩხუთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში, აგრეთვე აფხაზეთის ასს და აბაშის ასს რესპუბლიკებში.

ჭიათურდება აგრეთვე თივის დამზადების ვადები. ამის შედეგია, რომ ივლისის შუა რიცხვებისათვის მისი დამზადების გეგმა მხოლოდ 11 პროცენტით იყო შესრულებული.

ამოცანა ის არის, რომ არა თუ დღისეულად დავამთავროთ მიმდინარე წელი, არამედ წარმატებითაც უზრუნველვყოთ დარგის სტარტი მეათე ხუთწლედში. ამისათვის ყველგან გვაქვს სათანადო პირობები და შესაძლებლობანი. საჭიროა მხოლოდ მტკიცედ მოვკიდოთ ხელი საქმეს და წარმატებაც უზრუნველყოფილი გვექნება. (**საქინფორმი**).

მარნეულელებმა მდიდარი გამოცდილება დააგროვეს მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად

უზრუნველვყოთ მეცხოველეობა საკუთარი წარმოების საკვებით!

საკვები, ერთხელ კიდევ საკვები...

როგორ უზრუნველვყოთ ქალაქები თბილისი და რუსთავი მეცხოველეობის პროდუქტებით, რა გზებით განვამტკიცოთ მეურნეობათა ეკონომიკა? — ეი საკითხები, რომელთა მოსაგვარებლად გაბედული ნაბიჯები გადადგეს მარნეულის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა ამ უკანასკნელ წლებში.

მთელი რიგი დაკვირვებებისა და ანალიზების შედეგად მარნეულელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ცხოველთა პროდუქტიულობის გადიდება ჯამბრიგი გაუმჯობესების პარალელურად შესაძლებელია მხოლოდ მტკიცე საკვები ბაზის შექმნით, ცხოველთა სწორი კვების ორგანიზაციით.

მიზანს რომ ისახავდნენ, რაიონის ხელმძღვანელობამ პირველმა რესპუბლიკაში დასვა საკითხი მეცხოველეობის კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის შესახებ და წლეულს აპრილში შეუდგა კიდევაც მის პრაქტიკულ განხორციელებას.

სიახლისადმი სწრაფვამ, მეურნეობრივმა ალღომ და შორსმჭვრეტელობამ თავისი ნაყოფი გამოიღო, მნიშვნელოვნად გაიზარდა ძროხისა და ხორცის წარმოება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, შემცირდა მისი თვითღირებულება. რაიონი ამჟამად ყოველდღიურად 6-7 ათასი კილოგრამით მეტ რძეს აბარებს სახელმწიფოს, ვიდრე წინა წლებში. ვადამდე 13 დღით ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. გადაჭარბებით არის განაღდებული სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის და აგრეთვე პროუტყვის სულადობის გეგმები.

მეურნეობათა ფერმების კონცენტრაციამ და სპეციალიზაციამ ამის საფუძველი შექმნა, რომ წლის ბოლოსათვის რაიონის მეურნეობებმა 1000-მდე სული საკუთარი წარმოების უშობელი მიიღონ, ხოლო მომდგომ წლებში ყოველწლიურად 1000 ერთეულით გაზარდონ ძროხის სულადობა.

უახლოეს მომავალში ფიქრობენ მეღორეობისა და მეცხვარეობის ფერმების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციას, რაც კიდევ უფრო გაზრდის მეცხოველეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის რენტაბელობასა და ეფექტიანობას.

ისწრაფვიან რა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, მარნეულელები არ ივიწყებენ. ლ. ი. ბრეჟნევის მითითებას იმის შესახებ, რომ „მთავარი, რაც გვჭირდება მეცხოველეობის ღონისძიებისათვის, არის საკვები, საკვები და ერთხელ კიდევ საკვები“. ამ დევიზის საფუძველზე მარნეულის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობა, მეცხოველეობის დარგის ყველა მუშაკი ძალსა და ენერგიას არ იშურებენ, რომ განახორციელოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი ფაქტი ის არის, რომ მნიშვნელოვნად იზრდება საკვების დამზადების რაოდენობრივი მაჩვენებლები განსაკუთრებით ისეთ სახეებში, თუ გასულ წელს ჩადებული იყო 7.581 ტონა სენაჟი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6200 ტონისა, მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებული 10.700 ტონის ნაცვლად უკვე ჩადებულია 14.500 ტონა. საკვების დასენაჟება კვლავ გრძელდება და საზაფხულ ბოლოსათვის 20.000 ტონას მიაღწევს. როცა სენაჟზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რაიონში გამოყენებულ იმ ღონისძიებას, რომელიც ერთგვარ რისკთანაც არის დაკავშირებული. ეს არის სასენაჟე მწვანე მასაში ნამჯის შერევით სინესტის ხელოვნურად შემცირება.

რაიონის ხელმძღვანელთა გაწმარტებით ამ ღონისძიებამ გასულ წელს კარგი შედეგი გამოიღო. არაფლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ ამ წესით ჩადო 250 ტონა სენაჟი, სადახლოს მეთამბაქოობის საბჭოთა მეურნეობამ — 260 ტონა და ყაჩაღნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ — 700 ტონა. წლეულს კი ამ მეთოდით საკვების დამზადებას გა

17 ივლისი

ამბები • ფაქტები

საკვლევი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

კომუნისტურ უნივერსიტეტში

ლონდონი. საკვლევის კორესპონდენტი მ. ოზეროვი იუწყება: ამ დღეებში განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ლონდონის ერთ-ერთ სასწავლო შენობაში, რომელიც მალეტ-სტრიტის ქუჩაზე მდებარეობს. აქ მიმდინარეობს კომუნისტური უნივერსიტეტის მეცადინეობა, რომელსაც ყოველ ზაფხულს აწყობს დიდი ბრიტანეთის კომპარტია. მეცადინეობას ესწრება 750 კაცი, სტუდენტები, მუშები, მოსამსახურეები, გარდა ინგლისელებისა, აქ არიან ფრანგები და გერმანელები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან.

წელს უნივერსიტეტის მსმენელებს ცხრა დღის განმავლობაში წაუკითხავენ ლექციებს ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა პოლიტეკონომია, სახელმწიფო და კლასობრივი ბრძოლა, ქალების მდგომარეობა, რევოლუციური სტრატეგია და ტაქტიკა, ინგლისის პოლიტიკური სისტემა.

მსმენელთა უდიდეს ინტერესს იწვევს საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი ლექციები, უთხრა საკვლევის კორესპონდენტს უნივერსიტეტის ორგანიზატორმა დეივ კუტტონმ. ბრიტანეთის სასწავლებლებში, როგორც წესი, იმის დამახინჯებულ სურათს იძლევიან, რაც ხდება სსრ კავშირში, ჩქმალავენ თქვენს ქვეყანაში მიღწეულ წარმატებებს, ხოლო ინგლისელების მისწრაფება საბჭოთა კავშირისაკენ განუწყვეტლივ იზრდება.

ისტორიული დღეს

ისტორიული ექსპერიმენტი

უცხოეთის პრესა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ექსპერიმენტის შესახებ

